1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 33 (193) 30 ნოემბერი 1962 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

492. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის სატრანზიტო საკითხებზე.
493. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-ცეილონის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.
494. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ა. ფომინის დანიშვნის შესახებ.
495. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. დ. ს. პოლიანსკის დანიშვნის შესახებ.
496. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. შელეპინის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

497. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ნ. პ. სიდოროვის დაჯილდოების შესახებ.
498. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით არმიის გენერალ მ. მ. პოპოვის დაჯილდოების შესახებ.
499. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ა. სტირიკოვიჩის დაჯილდოების შესახებ.
500. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. მ. ა. მენშიკოვის დაჯილდოების შესახებ.

501. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. ვ. გ. ბაკაევის დაჯილდოების შესახებ.

502. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის სელექციონერ ამხ. ვ. პ. კუზმინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

503. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ მ. ა. სუსლოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

504. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი დროშის ორდენით მფრინავის, კაპიტან ი. ტ. კუნიცინის დაჯილდოების შესახებ.

505. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით არტილერიის მარშალ კ. პ. კაზაკოვის დაჯილდოების შესახებ.

506. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. მ. ვ. ნესტეროვის დაჯილდოების შესახებ.

507. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით სვერდლოვსკის ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაჯილდოების შესახებ.

508. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის" საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის ამხ. ნ. ი. აგიბალოვის დაჯილდოების შესახებ.

509. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის" საბჭოთა არმიის რიგითის ა. ო. საპრალიევის დაჯილდოების შესახებ.

510. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით არმიის გენერალ ი. ა. პლიევის დაჯილდოების შესახებ.

511. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის დაჯილდოების შესახებ.

512. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ გაბიდენ მუსტაფინის დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებში და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

513. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. მარუაშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

514. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

515. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ.

განყოფილება მეორე

516. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

შეთანხმება

492 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის სატრანზიტო საკითხებზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ერთი მხრივ, და მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა, მეორე მხრივ, გაითვალისწინეს ორივე ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება და სურვილი გამოთქვეს ყოველნაირად შეუწყონ ხელი თავ-თავიანთ ტერიტორიებზე სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას, გადაწყვიტეს გააფართოონ იმ ხელშეკრულების 10 მუხლის დებულებანი, რომელიც 1940 წლის 25 მარტს დაიდო სსრ კავშირსა და ირანს შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ და ამ მიზნით თავ-თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — ლეონიდ საბას ძე ეფოვი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე;

მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა — ჰამიდ საიახი, ელჩი,

რომლებიც, თავ-თავიანთი რწმუნებების წარმოდგენის შემდეგ, რწმუნებებისა, რაც ჯეროვნად გაფორმებული და სათანადო წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილ დადგენილებებზე:

მუხლი 1

იმ უფლებათა გაფართოების მიზნით, რომლებიც ირანს აქვს მინიჭებული მოხსენიებული ხელშეკრულების 10 მუხლით, და ამავე მუხლის 3 და 4 პუნქტის შესაცვლელად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი თავის ტერიტორიაზე ირანის სახელმწიფო ორგანიზაციებს, სავაჭრო საზოგადოებებს და ვაჭრებს ირანში გასაგზავნი ყველა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლებას ანიჭებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის წარმოშობისაა ეს საქონელი და რომელი ქვეყნიდან ხდება მისი გამოზიდვა. ეს უფლება არ ვრცელდება მესაზე ქვეყნებიდან იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ტრანზიტზე.

მუხლი 2

იმ უფლებათა გაფართოების მიზნით, რომლებიც სსრ კავშირს აქვს მინიჭებული მოხსენიებული ხელშეკრულების 10 მუხლით, და ამ მუხლის 6 პუნქტის შესაცვლელად, ირანი თავის ტერიტორიაზე საბჭოთა სახელმწიფოებრივ და სა-

შეუერნეო ორგანიზაციებს სსრ კავშირში გასაგზავნი ყველა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლებას ანიჭებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნიდან წარმოშობისაა ეს საქონელი და რომელი ქვეყნიდან ხდება მისი გამოზიდვა. ეს უფლება არ ვრცელდება მესამე ქვეყნებიდან იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ტრანზიტზე.

მუხლი 3

შეთანხმების დამდები მხარეები ტრანზიტით არ გადაზიდავენ ისეთ საქონელს, რომლის სსრ კავშირში ან ირანში შეზიდვა აკრძალულია ცხოველთა ან ბცენარეთა სამყაროს დაცვის მიზნით, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით.

მუხლი 4

იმისგან დამოუკიდებლად, სატრანზიტო საქონელი პირდაპირ იქნება გადაზიდული, თუ ტრანსპორტირების მიზნით მოხდება მისი გადმოტვირთვა, გადატვირთვა, შესანახად საწყობში მოთავსება, შეფუთვა ან ხელახლა შეფუთვა, შეთანხმების დამდები მხარეები ერთმანეთს არ გადაახდევინებენ არავითარ ბაჟს, გადასახადსა და გამოსაღებს.

სატრანზიტო საქონლის გადაზიდვის და სხვა სატრანსპორტო-საექსპედიტორო ოპერაციების (გადმოტვირთვის, შენახვის, დატვირთვის და ა. შ.) ანაზღაურება მოხდება ყველაზე უფრო მცირე ტარიფით შეთანხმების დამდები თითოეული მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 5

სატრანზიტო საქონლის გადაზიდვის დაჩქარების მიზნით შეთანხმების დამდები მხარეები საჭირო ზომებს მიიღებენ საბაჟო ფორმალობათა შესრულების შემსუბუქებისა და საბაჟოში ამ საქონლის დამუშავების დროის მაქსიმალურად შემცირებისათვის.

მუხლი 6

სატრანსპორტო-საექსპედიტორო ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტთან, განახორციელებენ საბჭოთა სატრანსპორტო-საექსპედიტორო ორგანიზაციები, ხოლო ირანის ტერიტორიაზე — ირანის სახელმწიფო სატრანსპორტო-საექსპედიტორო ფირმები და ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები ურთიერთ შორის დადებენ კონტრაქტებს, რომლებშიც განსაზღვრული იქნება სატრანზიტო გადაზიდვების წესი და მარშრუტი, ანგარიშსწორებათა წესი, გადაზიდვათა საგარაუდო მოცულობის ურთიერთშეტყობინების წესი და სხვა პირობები.

მუხლი 7

იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს ამ შეთანხმების პრაქტიკულად განხორციელებას, აგრეთვე აღმოფხვრას ის სიძნელენი, რომლებიც შეიძლება

წარმოიშვან მისი მოქმედების პროცესში, მხარეები შეთანხმდნენ შექმნან შერეული კომისია; ეს კომისია შეიკრიბება ერთ-ერთი მხარის წინადადებით მოსკოვში ან თეირანში.

მუხლი 8

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ იქნება და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც სულ მალე მოხდება მოსკოვში. შეთანხმება იმოქმედებს სამი წლის მანძილზე.

თუ აღნიშნული სამი წლის ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე არც ერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება, იგი ავტომატურად გაგრძელდება თითო წლის პერიოდით მანამდე, სანამ მისი ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს დენონსირებულ იქნას ეს შეთანხმება.

დადებულია თეირანში 1957 წლის 25 აპრილს ორ დედნად, თითოეული რუსულ და სპარსულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

რის დასადასტურებლადაც ზემოხსენებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას და თავ-თავიანთი ბეჭდები დაუსვეს მას.

ლ. ეჟოვი. **ჰ. საიახი.**

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1957 წლის 12 დეკემბერს, ირანის მეჯლისისა და სენატის მიერ 1958 წლის 10 აგვისტოს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1962 წლის 26 ოქტომბერს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

493 საბჭოთა კავშირ-ცეილონის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმების ოქმის რატიფიკაციის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ცეილონის მთავრობას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1958 წლის 25 თებერვალს დადებული შეთანხმების ოქმი, დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილი კოლომბოში 1962 წლის 12 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ქოსკოვი, კრემლი, 1962 წლის 16 ნოემბერი.

№ 622-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

494 **ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ა. ფომინის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ანდრია ანდრონის ძე ფომინი ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 ნოემბერი.
№ 638-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

495 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. დ. ს. პოლიანსკის დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. დიმიტრი სტეფანეს ძე პოლიანსკი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 657-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

496 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. შელეპინის დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე შელეპინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 658-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

497 შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ნ. პ. სიდოროვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ცენტროსოიუზის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ პავლეს ძე სიდოროვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 15 ნოემბერი.
№ 616-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

498 ლენინის ორდენით არმიის გენერალ მ. მ. პოპოვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით არმიის გენერალი მარკიან მიხეილის ძე პოპოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 16 ნოემბერი.
№ 621-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

499 შრომის წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ა. სტირიკოვიჩის დაჯილდოების შესახებ

თბოენერგეტიკის განვითარებაში დამსახურებისა და მრავალი წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ ადოლფის ძე სტირიკოვიჩი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 16 ნოემბერი.
№ 623-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

500 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. მ. ა. მენშიკოვის დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით რსფს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. მიხეილ ალექსის ძე **მენშიკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 ნოემბერი.

№ 624-VI.

501 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. ვ. გ. ბაკაევის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი ამხ. ვიქტორ გიორგის ძე **ბაკაევი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 ნოემბერი.

№ 625-VI.

502 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის სელექციონერ ამხ. ვ. პ. კუზმინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სელექციის განვითარებაში დამსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძვირფასი ჯიშების გამოყვანისათვის ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მარცვლეული მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სელექციის და გენეტიკის განყოფილების გამგეს ამხ. ვალენტინ პეტრეს ძე **კუზმინს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 ნოემბერი.

№ 637-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

503 ამხანაგ მ. ა. სუსლოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ მ. ა. სუსლოვის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგ მიხეილ ანდრიას ძე **სუსლოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის** გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1962 წლის 20 ნოემბერი.
№ 643-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

504 წითელი დროშის ორდენით მფრინავის, კაპიტან ი. ტ. კუნიცინის დაჯილდოების შესახებ

ზღვაზე თვითმფრინავის ავარიის დროს რთულ პირობებში გამოჩენილი მამაცობის, შეუპოვრობისა და სიმშვიდისათვის მფრინავი, კაპიტანი ივანე ტიმოთეს ძე **კუნიცინი** დაჯილდოვდეს **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1962 წლის 22 ნოემბერი.
№ 645-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

505 ლენინის ორდენით არტილერიის მარშალ კ. პ. კაზაკოვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით არტილერიის მარშალი კონსტანტინე პეტრეს ძე **კაზაკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1962 წლის 22 ნოემბერი.
№ 647-VI.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲯ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

506 შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. მ. ვ. ნესტეროვის დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ ვასილის ძე ნესტეროვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ქ. მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 ნოემბერი.
№ 648-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

507 შრომის წითელი დროშის ორდენით სვერდლოვსკის ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურების გათვალისწინებით და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით სვერდლოვსკის ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ქ. მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 651-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

508 მედლით „მამაცობისათვის“ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის ამხ. ნ. ი. აგიბალოვის დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი თავდადებული მოქმედებისა და მამაცობისათვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრი ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე აგიბალოვი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ქ. მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 652-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

509 მედლით „მამაცობისათვის“ საბჭოთა არმიის რიგითის ა. ო. ს. პრალიევის დაჯილდოების შესახებ

ოფიცრის სიცოცხლის გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის საბჭოთა არმიის რიგითი აბუკარ ოსმანის ძე **საპრალიევი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 653-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

510 ლენინის ორდენით არმიის გენერალ ი. ა. პლიევის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით არმიის გენერალი ისა ალექსანდრეს ძე **პლიევი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 654-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

511 ლენინის ორდენით აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის დაჯილდოების შესახებ

ფიზიკის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი დიმიტრი ვლადიმერის ძე **სკობელცინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.
№ 655-VI.

512 შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ გაბიდენ მუსტაფინის დაჯილდოების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი გაბიდენ **მუსტაფინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ნოემბერი.

№ 656-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის ქვეკომისიებმა დაიწყეს 1963 წლის სახალხო სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვა.

ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და სოფლის მეურნეობისა და დამზადების ქვეკომისიათა გაერთიანებულმა სხდომამ, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართა, განიხილა ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების მომავალი წლის გეგმა.

მომხსენებელმა — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრმა ა. ა. ეჟევსკიმ განაცხადა, რომ მანქანათმშენებლობის ამ დარგების განვითარება მნიშვნელოვნად უსწრებს შვიდწლიანი გეგმის დავალებებს (დაახლოებით 15 და მეტი პროცენტით).

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ზრდა მომავალ წელს დაგეგმილია 22 და მეტი პროცენტით. დასახული ზრდა თუმცა მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი მაინც მთლიანად ვერ დაფარავს მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, რაც სოფლის მეურნეობის მუშაკებს უსახავს არსებული მანქანების პარკის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების საკითხს. დიდდება ტრაქტორების, ავტომობილების, სათადარიგო ნაწილების, ავტომობილისა და ტრაქტორის მისაბმელების, აგრეთვე საკისრების წარმოება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

სოფლის მეურნეობის მანქანების წარმოებაში მოხდება არა მარტო რაოდენობრივი, არამედ მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებებიც. კერძოდ, გამოშვებულ იქნება 97 დასახელების ახალი მანქანა. დაიწყება ჩქაროსნული ტრაქტორის მასობრივი გამოშვება.

მოხსენების განხილვის დროს დეპუტატებმა გამოთქვეს მთელი რიგი წინადადებანი მრეწველობის ამ დარგების განვითარების შესახებ მომავალ წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილების უზრუნველყოფას სათადარიგო ნაწილებით. ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოება მიმდინარე წელთან შედარებით დიდდება 9,3 პროცენტით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 7,3 პროცენტით. და მაინც ეს არ ფარავს მოთხოვნილებას მათზე. ამიტომ დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ არსებული რესურსების ფარგლებში საჭიროა მოიძებნოს უაღრესად დეფიციტური სათადარიგო ნაწილების წარმოების გადიდების გზები. მაგრამ მთავარია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის უკეთესი ორგანიზაცია, სარემონტო ბაზის განმტკიცება, მანქანების დეტალების უფრო ფართო რესტავრაცია.

დეპუტატებმა ყურადღება მიაქციეს ტრაქტორების მარკების რაოდენობის უზომო გადიდებას. ახლა, მაგალითად, გამოდის 11 მარკის მუხლუხა მანქანა 14 მოდიფიკაციით და 10 მარკის თვლიანი მანქანა. ამის შედეგად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გვხვდება უამრავი სხვადასხვა მარკის მანქანა, რაც აძნელებს და აძვირებს მათ ექსპლუატაციას.

დეპუტატებმა მწვავედ დააყენეს ძრავების (კერძოდ დიზელების) ეკონომიურობის პრობლემა. ტრაქტორისა და ავტომობილის ძრავების საწვავის ხარჯვა ერთ ცხენის ძალაზე ერთ საათში შეადგენს 210 გრამს, მაშინ როცა საუკეთესო ნიმუშის ძრავები ჩვენში და საზღვარგარეთ ხარჯავენ 15-20 პროცენტით ნაკლებ საწვავს.

დეპუტატებმა შემდეგ აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ გეგმაში ჯეროვნად ვერ აისახა მებოსტნეობის მექანიზაციის საკითხები. მათ ხაზი გაუსვეს აგრეთვე იმას, რომ საჭიროა მოწყობილობის კომპლექსური წარმოება ფერმებისათვის, სპეციალური ტრაქტორის შექმნა საქართველოს, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების მთიანი რაიონებისათვის, სამეცნიერო დაწესებულებათა უფრო ფართოდ ჩაბმა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საარსებო პრობლემების გადაჭრაში.

1963 წელს მანქანათმშენებლობის აღნიშნული დარგების განვითარების წარმოდგენილი გეგმა, როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, მთლიანად შეესაბამება პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს.

ამ ქვეკომისიათა გაერთიანებულმა სხდომამ, განიხილა სახალხო სამეურნეო გეგმის დავალება, რომელიც შეეხება სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას მინერალური სასუქებითა და შხამქიმიკატებით. ამ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლებმა.

მომავალ წელს დასახულია გამოშვებულ იქნეს 20 მილიონი ტონა მინერალური სასუქი (მიმდინარე წელთან შედარებით ზრდა 16 პროცენტს აღემატება) და 119 ათასი ტონა შხამქიმიკატი და პერბიციდი (ზრდა 27 პროცენტით).

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა რესურსების გამონახვა შხამქიმიკატების წარმოების გაფართოებისათვის, რომლებზეც მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზარდა ნათესი ფართობების სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ ნელა მიმდინარეობს მცენარეთა დაცვის ახალი, უფრო ეფექტიანი საშუალებების ათვისება, რომ ნელია ახალ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის ტემპი, რომელთა აგება მრავალი წლის განმავლობაში ჭიანურდება.

* * * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საბიუჯეტო კომისიებში და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ დაიწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დასამტკიცებლად შეტანილი 1963 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა, აგრეთვე იმის განხილვა, თუ როგორ შესრულდა 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამ დღეებში კრემლში გაიმართა პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის გაერთიანებული სხდომა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბ. ე. დიმშიცი. სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ამხ. ვ. თ. გარბუზოვმა.

გეგმისა და ბიუჯეტის ცალკეული ნაწილების განსახილველად საბიუჯეტო კომისიებმა შექმნეს სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი მაჩვენებლების ქვეკომისია, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ქვეკომისია, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების ქვეკომისია, მძიმე მრეწველობის ქვეკომისია, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ქვეკომისია, სოფლის მეურნეობის, დამზადების და ვაჭრობის ქვეკომისია, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ქვეკომისია, ცალკეული სამინისტროების და უწყებების (საგარეო ვაჭრობის, თავდაცვის და სხვა) ქვეკომისია, 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ქვეკომისია, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების გეგმების და ბიუჯეტების ქვეკომისია.

ეკონომიურ კომისიაში შექმნილია ქვეკომისიები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მრეწველობა; სოფლის მეურნეობა; ვაჭრობა; კულტურა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და საბინაო-კომუნალური მეურნეობა.

ქვეკომისიები განიხილავენ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სამინისტროების, უწყებათა წარმომადგენლების მოხსენებებს ამ წლის გეგმის და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და 1963 წლის საგეგმო და საბიუჯეტო დავალებათა პროექტების შესახებ, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა წარდგინებებს ამ საკითხებზე.

იმ კომისების მუშაობაში, რომლებიც იხილავენ სახალხო-სამეურნეო გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს, მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები.

საგეგმო და საბიუჯეტო მასალების განხილვის დამთავრების შემდეგ კომისიები წარუდგენენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სათანადო პალატებს თავის დასკვნებს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

513 ამხ. გ. მ. მარუაშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი მინას ძე **მარუაშვილი** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 27 ნოემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

514 ამხ. ლ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ლევან აბოს ძე **საყვარელიძე** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

515 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ

„საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულების შესაცვლელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ჩატარდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები 1963 წლის თებერვალში.

2. გაუგრძელდეთ რწმუნებანი საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არჩეული არიან 1960 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი, 1962 წლის 28 ნოემბერი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

516 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

1. ვლადიმერ თევდორეს ძე **აბაშიძეს** — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და კავკასიის ელექტროქსელის მშენებლობის დირექციის დირექტორს;

2. იოსებ დანიელის ძე **ბეთანელს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს;

3. თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **დავითაშვილს** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს;

4. სიმონ კონსტანტინეს ძე **ვახტანგაძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს;

5. აბრამ ფილიპეს ძე **ვოლფენზონს** — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრთან არსებულ ინსპექტორს;

6. დიმიტრი ანტონის ძე **ივანიშვილს** — თბილისის ჰიდრომეტხელსაწყოების ქარხნის დირექტორს;

7. არკადი კონსტანტინეს ძე **კოტიას** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანს;

8. გაბრიელ დიმიტრის ძე **კუპრაძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს;

9. გიორგი იოსების ძე **მარგველაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზათა მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს;

10. ივანე ვლადიმერის ძე **მაჭავარიანს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს;

11. აკაკი ექვთიმეს ძე **მეტონიძეს** — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საქსოფელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს;

12. დავით გიორგის ძე **მშვენიერაძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის ლაბორატორიის გამგეს;

13. გიორგი მიხეილის ძე **სეხნიაშვილს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს;

14. კონდრატე ტეიბუხის ძე **ტაბატაძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს;

15. ვასილ გიორგის ძე **ქურდაძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის უფროსის მოადგილეს;

16. ირაკლი სოლომონის ძე **ქურდიანს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს;

17. გრიგოლ იორდანეს ძე **ღულუნიშვილს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს;

18. ივანე კუზმას ძე **შჩუკლინს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს;

19. დავით მინაგოს ძე **ჩიტიძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორს;

20. გიორგი ილიას ძე **ხარაშვილს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს;

21. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ხიდაშელს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარისა:

1. გიორგი ალექსანდრეს ძე **აბაშიძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს;

2. თამარ იოსების ასულ **ახვლედიანს** — ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფს;

3. ანასტასია ემელიანეს ასულ **გვარამაძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორს;

4. ნინო პეტრეს ასულ **კიზირიას** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარს;

5. ლიდა კონსტანტინეს ასულ **ლუკაშევას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ბიბლიოთეკის გამგეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მარიამ იოსების ასულ **მამუჩაშვილს** — ა. ჯაფარიძის სახელობის თბილისის საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს;

7. იუსტინა ალექსის ასულ **ნაგორნაიას** — მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს;

8. ნინო გიორგის ასულ **ჟურულს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარს;

9. ნატალია პავლეს ასულ **სამარინას** — ვ. ი .ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარს;

10. ელენე ილიას ასულ **სვანიძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს;

11. სოფიო იაკობის ასულ **ტატიშვილს** — კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს;

12. თინა სერგის ასულ **ფანჩულიძეს** — თერჯოლის რაიონული ბიბლიოთეკის გამგეს;

13. ზინა გიორგის ასულ **ფიფიას** — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პოლიტიკური განყოფილების კაბინეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს;

14. ლილი ანდრიას ასულ **შენგელაიას** — მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარს;

15. ქეთევან გრიგოლის ასულ **ხეთაგურს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარს.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწისა:

1. მიხეილ ერმილეს ძე **კეკელიძეს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებელს;

2. კონსტანტინე გიორგის ძე **მალიშკოვს** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 21 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი. პუშკინის მოედანი, 5.

დაიწყო ხელმოწერა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

უწყებებზე

1963 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“

ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასი:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.

ხელმოწერა მიიღება ყოველი მომდევნო თავიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატი“, ყველა საფოსტო კანტორა და რკინიგზის გამომცემლობის რწმუნებულები ტრანსპორტზე, „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების რწმუნება აქვთ.